ჯოიშხლის ცეში

ქეთევან მენგელია

ლეონიძე

ქეთევან შენგელია

ქარიშხლის ტაში

ლირიკა

ვეფხისი

გამომცემელი
მარინე ცხადაია

რედაქტორი
მანანა ჭირაქაძე

დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა
ეკა წიქარიშვილის

© ქეთევან შენგელია
© გამომცემლობა „პეგასი“ 2012
სერია „ახალი ლიტერატურა“

ISBN 978-9941-9234-3-2

გამომცემლობა „პეგასი“
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 27
ტელ. 2 32 09 78, ტელ./ ფაქსი 42 10 00
ელ-ფოსტა book@pegasus.ge
ვებ-გვერდი www.pegasus.ge

ძვირფასო მკითხველო!

ყოველ ლიტერატურულ ეტაპს მოაქვს თავისებური სიახლე, რომელიც სირთულესაც გულისხმობს. ყველამ კარგად იცის, რომ თუ კულტურა ჩაკეტილი იქნება, მოზღუდული იქნება ერების სააზროვნო სივრცეც. თანამედროვე მსოფლიოს კულტურულ პროცესებთან ღირსეული ურთიერთობისათვის, რაღა თქმა უნდა, საჭიროა თანამედროვე პრიორიტეტების გათვალისწინებაც; რაც იმასაც გულისხმობს, რომ კარგს არაფერს მოიტანს სხვა კულტურათა უარყოფა და მხოლოდ საკუთარი თავით ტკბობა, ასევე გულისხმობს იმასაც, რომ დაუშვებელია საკუთარი ქვეყნისა და კულტურის უარყოფა, სხვისი ხოტბისა და განდიდების სანაცვლოდ.

შეუძლებელია პატივი სცე სხვისას, თუ არ გეყვარება შენი...

ვიფრინოთ მზისკენ, ჩვენ მზის ქვეყნის შვილები ვართ... მთელი სამყაროს შვილები. ფრენა წარმოუდგენელია ბრძოლის, წინააღმდეგობების დაძლევის, სიყვარულის, ფიქრის, განსაცდელის, ცრემლის, ღიმილის, უძილო ღამეების გარეშე... ამის გარეშე არც პოეზია არ არსებობს...

წიგნი მინდა მივუძღვნა იმ ადამიანებს, ვისთვისაც სიკეთის თესვა ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რადგან მიმაჩნია, რომ ნებისმიერი პიროვნებისთვის ეს, ყველაზე საპატივცემულო თვისებაა.

ავტორი

* * *

მოდის ყვირილა და
გულწასული ყვავილი მოაქვს
ტალღას პატარა...
მზეა დილიდან,
შენ ხომ არ გახსოვს როდის აშენდა
ზედა საქარა?!
მოდის ყვირილა და
ტაძრის ახლოს,
„ლოცვანს“ კითხულობს
ზოგჯერ ყმაწვილი...
სანთელი,
ბიჭი,
მდინარე,
ბორცვი –
ჩემი სამშობლოს ერთი ნაწილი.

აგარაკზე

მაინც ჩამდგარა ქარი ავყია,
მიწყდა ფეხის ხმაც, სუნთქვაც, ჩურჩულიც,
დაუნდობელი და ამაყია,
ეს სიმარტოვე – თეთრი ურჩხული.

იტირებს, ღრუბელს რა უნდა მეტი?!
ნისლებმა მთები ისევ დამალეს,
ვზივარ და ვფიქრობ: ვინ იცის ბედი,
როგორ გამითხრის გულში სამარეს.

მიმინოს

სიბნელეშია დაგეშილი შენი ნერვები
და კვერცხის გულებს შეგაჩვიეს ხორცის მაგიერ,
ტყავის თათმანზე შემომჯდარი გასცქერი სივრცეს,
მრავალჟამიერ,
        მრავალჟამიერ!
ო, რა თვალები – წყვილი შავი, სწრაფი შურდული,
არც გელოვანი, არც აფხაზი და არც ბურდული...
და მაინც, ასე შემართული, ხარ ფრთაგაშლილი,
მოინადირებ ამ სამყაროს ევას ვაშლივით.
შენ და ხარ ჩემი,
უარჰყავი კვერცხის გულები,
მეც მხიბლავს სივრცე,
არ მაშინებს დაკარგულები.
მოდი დავიძრათ, ვინ-ვის?!.. მიზანს არ ავაცილოთ;
შენ სახლობ ჩემში, და მე – შენში, ჩემო ნაწილო!
ვიფრინოთ მზისკენ,
თუმცა მზემდე მიდის ვერავინ,
მაგრამ გზად მაინც აგვცილდება
მავნე მზვერავი.
ვიფრინოთ მზეშიც, ქარშიც, თოვლშიც, უკუნ ღამეშიც...
მთავარია, რომ ვერ გაგვაბან ვერსად მახეში
და სწრაფად, თუნდაც გულის ძგერის ხმა ჰგავდეს ზარებს,
ზრიალსაც ჰგავდეს, ჰგავდეს ზრიალს,
თუნდაც წამიერს,
    მრავალჟამიერ...
        ჩემო დაო!
            მრავალჟამიერ!

ქარიშხლის ტაში

გრიგალს ვებრძვი, ვებრძვი გრიგალს,
ოღონდ ჩუმად, გულით ვებრძვი,
ჩემს ნერვებზე იწერება მაჟორული სიმფონია...
და ნოტები ჟღრიალებენ –
არ გაგექცეს ოქროს ვერძი...
არ დანებდე, არ დაიბნე, მოერიდე რია-რიას.
რა ვქნა? ტაძარს ხშირად ვსტუმრობ,
ვსტუმრობ გელათს და სამთავროს,
მაგრამ, რომ ვერ დაგიჩოქე,
სიბრძნის ღმერთო, არ დამჩაგრო!
ალუბლები სკდება გულში,
გრიგალს ვებრძვი, მომეხმარე!
თან საჭრეთლის ღრჭიალივით,
ჭრიჭინებმა მომახალეს –
შენ ბულბული არ გიგალობს,
არ გიმარგლავს გნოლი ყანას!
ქარიშხალმა დაჰკრა ტაში –
ნანა, ჩემო შვილო, ნანა!
ტყვიამ მომინათლოს სიტყვა,
ჩემი გული სარანგია,
ჩამეხუტე, ქარიშხალო!
მარტო ტაში რას მარგია?!
არ გავხდები არავისი,
არც მონა და აღარც კერძი.
გრიგალს ვებრძვი, ვებრძვი გრიგალს,
ოღონდ, ჩუმად, გულით ვებრძვი.

ალალი იყოს, თუ შევიშლები

შენ ამიყვავე ეს ნარინჯები,
გარიჟრაჟზე რომ მზეებად მოჩანს,
ამ სიყვარულზე გულდადინჯებით,
ამბავს მამცნობდა მკითხავი ბოშა.

თითზე ეკეთა ბეჭედი, დიდი,
კარტი ეჭირა, როგორც მარაო...
მე ვიჯექი და მის მძივებს ვთვლიდი,
სანამ არ მითხრა – წადი, კმარაო.

მე დამღუპავენ ეს ქარიშხლები,
ვნების მორევი, ტალღა ტკაცუნა,
ალალი იყოს, თუ შევიშლები,
ოღონდ გეჭიროს თავი კაცურად.

ოღონდ გულში რაც ცეცხლი ბრიალებს,
ნახანძრალს კი ნუ დაემსგავსება,
გზიდან გვერდზე არ გაგახვევინონ,
გულით ბრმებმა და ხელით თარსებმა.

გაგვიტაცებენ ეს ქარიშხლები,
სიზმრად მზეს მივწვდი, ზეცას კი არა,
გულში – არწივი და ნარინჯები,
ქარბორბალები ბზრიალ-ბზრიალა.

მე ღვინობისთვემ მაჩუქა გრძნობა,
თან მაჭარივით დამათრობელი,
გფარავდეს ღმერთი, ჯვარი და ბზობა,
ჩიტის გალობა და ღვთისმშობელი.

ქეთევან დედოფალს

ერი შენ გიმზერს –
საქართველოს „მზეს“,
შირაზის თავზე გასკდება მეხი,
მრისხანე ზეცა მოიყრის ღრუბლებს
და უფლის ჯვარი აისახება,
მთას და ცას შორის გაჩენილ ზღურბლზე.
გულგაპობილი დღეს შენ კი არა –
გულგაგლეჯილი იყო ირანი
და ისტორიის სასტიკი სკიპტრა
მოსპე, იმედით მოსპე ტირანი!

დედოფალო! ბრიალებდა დიდი ცეცხლი,
ქალღმერთივით დაამშვენე ზეცა,
შაჰ-აბასი, „დალეწილი“ შაჰ-აბასი,
მერე ჯალათს შეშლილივით ეცა.
დედოფალო! ბრიალებდა დიდი ცეცხლი,
შენს თვალებშიც ცეცხლის შუქი კრთოდა,
შაჰ-აბასის დამშეული გამოხედვა –
შენი ტანის სითეთრეზე ბოდვა...
ო, ქეთევან! ერთი სიტყვით დაამარცხე,
ურჯულოთა შლეგიანი ვნება,
ღმერთო, იყოს მისი ერის ძლიერება,
საქართველოს დედოფალის ნება!!!

ცრემლი

მონაზონს ჰგავდა ღრუბელი ცაზე,
მოღრუბლულ ზეცას ბინდი ეფინა,
მოლაღურს ტოტზე ეძინა მშვიდად,
ვიმეორებდი ფსალმუნს ზეპირად.

ატყდა ქარი და იჭექა ელვამ,
გავარდა მეხი, საით? არ ვიცი...
განვიცდი ცრემლი რომ არ გიშრება,
რომ არ მიშრება ცრემლი, განვიცდი..

ნადირობის ქალღმერთი დალი

ეს ფერმკრთალი გარიჟრაჟი,
ეს გიჟმაჟი ქარი,
ქარიშხლების უხვი ტაში
და წითრონი რაში...

ბრალი, აბა, რაში დამდე,
რაში დამდე ბრალი?!
გაშლილია იორს ბადე,
მთას ნადირობს დალი...

სადღაც დამრჩა აბრეშუმი,
დათმობილი კვერთხიც,
გამიმრუდე ვერცხლის შუბი
და სათქმელიც ვერ თქვი.

მთვარემ სხივი დამაბჯინა,
მხარზე მქონდა ხალი,
მეც მასწავლე ნადირობა,
გეხვეწები, დალი!

თორემ ფარჩაც სხვამ ამართვა,
სხვამ ამართვა მძივიც,
გელოდები იმ შამბნართან,
წყარო როა ცივი...

ნადირობდნენ ერთმანეთზე,
ჩემი ბეჭდის თვლებზეც,
გულღია და თვალდახშული,
როგორ უნდა ვთვლემდე?

ისე ქუხს და ისე ელავს,
ვერ დადგება დარი,
ამ ამინდში ნადირობა,
მეც მასწავლე, დალი.

ცეცხლის ენები

ცეცხლი გადმოსკდა მეხის საშოდან,
ელვამ თვალები მოსჭრა შევარდენს,
მერე წითელი, მწველი ენები,
უღრან ტყეშიაც სწრაფად შევარდნენ.

ო, ასე იცის გულის შეგლეჯვაც,
რას მოერევი ტრფობას, ცად ამძვრალს?!
და როგორც ცეცხლი, მინავლებული,
კვალსაც არ ტოვებს, ტოვებს ნახანძრალს.

გრგვინვის შემდეგაც ფიქრობ დაღლილი,
რომ ეს მიდამო მტერივით გიტევს,
მერე მდელოზე, უფლის მადლივით,
თავიდან ამჩნევ ჭრელგულა ჩიტებს.

თუ გინდა კიდევ რომ გაიოცო,
დაიმეგობრო მთვარეც და მზეცა,
ერთხელ უსაყდროდ უნდა ილოცო
და უპატრონოდ ახვიდე ზეცად.

თუ გინდა, გულში იმედი გედგას,
ნუ გაიმარჯვებ „ტროას ცხენივით“,
ვინ რას უწოდებს ძლიერს და მედგარს,
ვისთვის ვინ არის პირშერცხვენილი?!

თენდება. ღამეც მიიძურწება,
ქოთნის ყვავილი ნებივრად ხარობს,
ვერ გაიხარეს გულით ძუნწებმა,
ვერავინ უთხრა – პირიმზე ხარო.

ცეცხლი გადმოსკდა მეხის საშოდან,
ელვამ თვალები მოსჭრა შევარდენს
და მერე ცეცხლის მწველი ენები,
უღრან ტყეშიაც სწრაფად შევარდნენ.

მთები

დგანან ჩემი ქვეყნის მთები, ვით მხატვრები,
ცა გაშლილა და მოლბერტად ქცეულა,
ჭრელ ფერდობებს ყვავილივით ჩავეწვნები,
ტყემ ფოთლები დილით გაამზეურა.
მიქრის დასავლეთის ქარი სვანეთისკენ,
თან მიჰყვება პაწაწინა ბელურა,
რა მაცდური ამინდია, ღმერთო გვიხსენ,
მობზრიალებს ევას ვაშლი – კეხურა.
ამ საყაროს მოხატავენ ჩემი მთები,
ღრუბლებისგან ამანათი გვერგება,
წვიმის წვეთებს შეუშვირეს ნორჩი მხრები,
ფერდობებზე მოშრიალე ნერგებმა.

წმინდა აბოს ფერფლის ბრწყინვალება

ვუძღვნი მამა ბესარიონს –
წმ. ნიკოლოზის ტაძრის დეკანოზს

შეკრთა ბოროტი,
დამარცხება ძლიერ ეძნელა,
ძრწოლამ შეიპყრო შავი ეშმა –
ელოდა ნიშანს.

თვით უფლის ჯვრისთვის
წამებულის ფერფლი ანათებს
და ბრწყინავს მტკვარი, ყოველ ღამე...
აქ, აბოს ნიშთან.

საჩრდილოგელი

საშური იყო იმ მზიან დილით,
საჩრდილობელში შენთან სტუმრობა,
ვერ ვიმყოფინე ჯერ ჩემი წილი,
ვერც ტირილი და ვეღარც ხუმრობა.

ისმოდა ტყიდან ჭიკჭიკი ჩიტის,
სულ არ დაღლილხარ ჩემი ყურებით,
დამთამაშებდა კაბაზე, ჩითის,
სხივები – ზეცის ნანდაურები.

რა მძიმე იყო რამეზე ფიქრი,
სამყარო ჩანდა, ღიმილით სავსე,
უიღბლო კაცის, გქონია, ხიბლი,
ყოველთვის მაინც იმედით მავსებ.

შენთვის მიმინო ხშირად გნოლია,
აღარ გაოცებს სიმუხთლე ძლიერ,
გულის სითბო კი გამოგყოლია,
ესაუბრები შლეგსა და მშიერს.

აღარ გამომდის ამ მზიან დილით,
საჩრდილობელქვეშ შენთან სტუმრობა,
ვერ მამყოფინე მე ჩემი წილი,
ვერც ალერსი და ვეღარც ხუმრობა.

* * *

ვუძღვნი დედას

ოპიზარის მოჭედილი,
სახარების ყდაი
ბერთის,
ჩემი ზეცა, ჩემი მიწა,
ერთი დედა,
ერთი ღმერთი...
ტაძრის კართან
ქალის თმაზე
მოხვეული თხელი რიდე,
ვერცხლისფერი ზარი რეკავს,
ღმერთო,
მტრობას ამარიდე!
ოპიზარის მოჭედილი,
რა ყდა?! –
ბერთის სახარების,
ნეტა იმ დროს,
როცა დგება
ჟამი, სულის გახარების.

ეს ნაკადული...

გამოქცევია ქალივით, ამ წუთისოფლის ყოფასა
ეს ნაკადული, პატარა, ბარში მოსულა ბზობასა...
წაეტანები უაზროდ ამ ჩემი კაბის ქობასა,
„თუ არ შმაგი ხარ დამეხსენ, შმაგი ხარ, მოდი ცნობასა“.

ჩამორაკრაკდა მთებიდან, ლხენით მოჰყვება მიდამოს,
ყვავილი ეკეკლუცება – შენთვის ყველაფერს ვიზამო,
ბილიკებს ეჩურჩულება – სუნთქვა დაიწყო მიწამო,
შფოთიანივით დამყვები, ეგრე რა უნდა ვიწამო?!

ფრთები დავკარგე

ზედაშე იყო თაფლივით ტკბილი,
ნაგაზი იწვა ტაძრის ეზოში,
ზამთრის მზე იყო ისეთი თბილი,
ვერ გაებედათ ქარებს დებოში.

ასე მეგონა, ბუდე დავკარგე,
ჩიტი ვიყავი – კაცად ქცეული,
მთების ფერდობზე ყინვის ნაქარგებს,
კალთები ჰქონდათ ჩამორღვეული.

აი, ღრუბელმაც არაფერი თქვა,
გამოებერა რუხი ლოყები,
ფრთები დავკარგე, არაფერი სხვა...
როგორ დავკარგე, მერე მოვყვები.

***

იქნებ დამტოვოთ,
ჩემს სიმარტოვეს,
სულ არ უხდება უცხოს თვალთვალი.
ო, რა სანდოა,
ღვთისმშობელივით,
ლექსის ბნკარი და პურის თავთავი...
ეს შემოდგომაც ხომ მიილია,
მოიპარება ისევ ზამთარი,
წევს მთაწმინდაზე დიდი ილია,
საქართველოსთან ცამდე მართალი.

***

არასდროს არ გთხოვ არაფერს რადგან,
სულაც არავინ არ მედგა გვერდით,
მე საქართველოს თბილი მზე მათბობს,
ჩემი ლამაზი, მოწყალე ღმერთი.

ვერც მე შევძელი ამ ნაკადულის,
დაღმა კი არა, აღმა დინება,
სადა ხარ ახლა? თუ დავიღუპეთ,
მითხარი მაინც, მეცოდინება.

ღვინოგისთვე

გადამსკდარია ყურძნის მარცვლები,
მზეზე, ვით ქალის მკერდზე საკინძე,
დადუღებულა „სამოთხის სითხე“,
არც კი სცალია ახლა მასპინძელს.

თარი კუთხეში აყუდებულა,
დაუფენიათ ტახტზე ჭილოფი
და ჭურის თავთან სადღეგრძელოა,
მოშუშებული ყველა ჭრილობის.

***

მთელი ცხოვრება მოლოდინია
და მერე დაგლლის, აბა რას იზამს?!
გააფერმკრთალებს ცდუნების ნაყოფს,
მარგალიტივით პატარა მიზანს.

ჩვენ ველოდებით ფრთაშესხმულ იღბალს,
სიყვარულის ჩრდილს – ხეზე ლიანებს,
ნამდვილად, მარტო სიკვდილი მოდის,
ის, არაფრით არ დაიგვიანებს.

***

მე ვიცი რასაც მოყვები ახლა,
ამას ყვებოდა გრიგალი წუხელ,
მიაჭრიალებს ბედი წვალებით
ადამის მხრებზე შემოდგმულ უღელს.

ვის უკვირს ჩიტი ნანადირევი,
კაენის ცოდვა, თევზის ფართხალი,
აღარ დავეძებ სხვასთან რომ სტყუი,
შენს თავთან თუ ხარ მაინც მართალი?!

***

ცრის, ნელ-ნელა ცრის, წყნარად და ჩუმად,
უბედურიც და ბედნიერიც ერთად ვარ თითქოს,
რას ფიქრობს ხოლმე სულ არ ვიცი უიღბლო კაცი,
სამაგიეროდ, ქალი ვიცი რაზედაც ფიქრობს.
სულ უკუღმა მაქვს აწყობილი დღეც და საღამოც,
მე როცა ვტირი, დედის ნაცვლად, ხომ შვილი მკოცნის...
ვზივარ ტყის პირას. აგვისტოა; სურამში გრილა,
მესაუბრება შენს მაგივრად ნაძვი და ბორცვი....
ცუდად მეძინა, კარგად როგორ დავიძინებდი?!
მითხრეს: შენ, ალბათ, სიზმარშიაც ქარი შეგყვაო...
სიზმარში ქარი, ცხადში – ლანდი, გვერდზე – ღალატი,
ცაო! ხან წვიმის მაგივრადაც შენგან სეტყვაო...
ცრის, ნელ-ნელა ცრის, წყნარად და ჩუმად,
ბედნიერიც და უბედურიც ერთად ვარ ახლა,
ჩამოვარდნილი ვარსკვლავებიც უკვალოდ ქრება
და შენს მაგივრად გარინდული საღამო მახლავს.

***

სიმშვიდე ისე მოგვიხდებოდა,
როგორც სახურავს მერცხლების ბუდე,
ვფიქრობ და მაინც ვერ გამიგია,
რა სწორია და რა არის მრუდე.

შლეგივით დაქრის ქარი ხანდახან,
ქართანაც გინდა შეჯიბრი თითქოს,
ზოგჯერ ცხოვრების უკულმართობით,
როგორ გვიქრება გულიდან სითბო...

გაზაფხული თბილისში

მოდის ლაღი და ამაყი,
მოსასხამს მოაშრიალებს,
ყოჩივარდებით შემოდის,
ტოვებს ნარცისებს, მზიანებს.
შხაპუნა წვიმა აცეკვდა,
ამღერებს ხეებს, კრამიტებს,
მოდი, თავიდან მითხარი,
ჩემზე მაგ გულში რა გიდევს?!

ვერსალი

ვუძღვნი თამუნას

იდგა ვერსალი და შიგნით თითქოს
მეფეთა ჩრდილებს დაედოთ ბინა,
სასახლის ბაღში, ქალბატონივით,
დაბრძანდებოდა აგვისტოს დილა.

გაჩერდა წამი და დარბაზიდან,
ბაღს დავცქეროდი მშვიდი თვალებით,
ჩემს ზურგს უკან კი ტიროდა დაშნა,
ინტრიგის სუსხით ნაიარევი.

მაისი ვენეციაში

შენ წყალთან ერთად სუნთქავ და ფიქრობ,
ვიწრო ქუჩები გვავსებს ხალისით,
რა უცნაურად მშვენიერი ხარ,
როგორ გიხდება ლურჯი მაისი.

ავად ხარ, მაგრამ არაფერს იმჩნევ,
თვალცრემლიანი არ იხედები,
„სან მარკოს“ ვრცელი მოედნის ნაპირს,
შემოსჩვევია გუნდი მტრედების.

„სანტა კროჩეს“ ტაძარში

მიქელანჯელოს საფლავთან

ვდგავარ ტაძარში
და შევცქერი ამ ქანდაკებას,
ო, რა უცნაურ ფანდს იგონებ
ზოგჯერ, გამჩენო...
სხვამ მორთო შენი
სამუდამო სასუფეველი
და ქანდაკებაც სხვამ დაგიდგა,
მიქელანჯელო!

ბარსელონაში

გაუდის თავისი შედევრი „საგრადა ფამილია“
დასამთავრებელი დარჩა...

ოქტომბრის ბოლო,
ბარსელონას ლამაზი პორტი,
კოლუმბის ძეგლი, გრძელი ხიდი,
ბევრი ნათურა...
მოსწყდა, გაუდის მოწყენილი,
ერთი ვარსკვლავი,
ყველაზე დიდი, კაშკაშა და
თვალებხატულა.
ო, რა ღამეა, ანტონიო,
ო, რა ბაღია!
რა სილამაზე დაუტოვე ამ მოზაიკებს,
როგორ გიჭირდა, როგორ წუხდი,
ალბათ, ღმერთკაცი,
ამ ტურისტების ღრიანცელში
ვინ რას გაგიგებს?!
ო, რა ღამეა!
აქ ფიქრობდი ალბათ, მაესტრო,
გადარეული, დარდიანი, ღამენათევი,
ისე წახვედი ამ ქვეყნიდან, რომ შენს ტაძარში,
ერთხელ ხალისით ვერ დაანთე
თაფლის სანთელი.
ო, რა ღამეა!
აქ ხატავდა მტრედებს პიკასო,
გემები დგანან და მორჩილად დილას უცდიან,
კაპეადორი აფრიალებს თითქოს მოსასხამს,
მიდი ტორერო, დღეს შემხვედრი ქარი სუსტია!

შვილს

დავით კანდელაკს

მე მარტოხელა მგელივით ვცხოვრობ,
და ვერ გამაბეს მაინც მახეში,
მშობელიც თითქოს წარსულს მისტირის,
მონადირეს ჰგავს, ჩემზე დაგეშილს.

უმზეო დღეო, უმთვარო ღამევ,
ხმაურიანო მიწავ და თერგო!
მაინც მიმინოს გული მიფეთქავს,
თუმცა ნიბლიას სიცოცხლე მერგო.

ნუ მოხვალთ ჩემთან, ხომ ასე სჯიან,
გაზაფხულის პირს ყვითელ ნარცისებს,
ვერ ვიტან ტყუილს, ვერც იმ კაცს ვიტან,
საქართველოს და შვილს ვინც მაფიცებს.

მე ვარ ბალახი, ოღონდ, იცოდე!
მუხის ფესვზე ვარ ამოღერილი,
ხომ შეიძლება, დუმილით მოვკვდე
და გულში მქონდეს ერთი წერილი.

ხომ შეიძლება, აღარ ველოდო,
ამ ცხოვრებისგან იღბალს სხვებივით,
შესციცინებენ ხოლმე თვალებში,
მომცრო სურვილებს ჭრელი ცხვრებივით.

აქ ბოროტება აღარ მაოცებს –
აი, სასჯელი უპირველესი
და მაინც არ ვარ სასომიხდილი,
როგორც ლიფსიტა – დამშრალ ღელეში.

არ ვიმჩნევ, თორემ შებინდებისას,
შიშით ვკანკალებ ძალიან ხშირად,
მიუხედავად ამისა, მაინც,
მე ბევრი რამე არ მიღირს ჩირად.

ჩემო მზეო და ჩემო ზღაპარო,
ჩემო ვაჟკაცო, ნერგო და ხარო!
ფეხზე ვიდგები მაინც იქამდე,
სანამ შენ ჩემი ალერსით ხარობ.

ელვა

ნახე, რა ძალით იჭექა ელვამ,
თითქოს გაბზარა ცა და ხმელეთი,
მაინც ამაყობს მიდამო ზვრებით,
თავის ტყითა და თავის ღელეთი.

შუალამისას მოვიდა წვიმა,
მესიზმრებოდა ხატი, ხახულის,
გიორგობისთვე დაიხუნძლება,
დაბინავდება ეს ჭირნახულიც.

რაც გვენატრება, ხანდახან ახდეს,
ვინც გვენატრება, ღმერთმა გვაჩვენოს,
ხშირად კი არა, სულაც არ წახდეს,
იქნება საქმე, ჩვენო გამჩენო!

ნახე, რა ძალით იჭექა ელვამ?!
ეს შემოდგომის ღამის ძღვენია,
ყური მიუგდე, წვიმის წვეთები
მრავალჟამიერს როგორ მღერიან!

ქართლის ცხოვრება

ვუძღვნი აკადემიკოს როინ მეტრეველს.

ჩვენი სამშობლოს ბედის ბორბალი,
რა წვალებით და მძიმედ ტრიალებს,
რუდუნებით და გულის ფანცქალით,
წერდა და წერდა მემატიანე.

იისფურცლება, ღვთივკურთხეული,
აი, ეს წიგნი ჩვენი განძია,
ზეცა ხან მტრობით გადარეულა,
ხან ჩაგვიხატავს გულში ვარძია.

ალბათ, თქვენგვარი ღვაწლით და ფიქრით,
დრო მხრებზე ედგათ ჟამთააღმწერლებს
და გააცოცხლეთ, რაც წლების იქით,
ჯერ მოსაყოლი დარჩათ ნაწერებს.

ზედაზენს იღებს დავითი თითქოს,
იერთებს კახეთს, იერთებს ჰერეთს,
მიფრიალებენ დროშები დიდგორს,
ლოცვით ბრუნდება ბრძოლიდან მერე.

რამ ჩამოაგდო მთის წყარო ბარად,
როგორ ვიკმარეთ ომში ხმიადა?
სხვასავით მხოლოდ აწმყოზე არა,
თქვენ ჩვენს წარსულზეც ზრუნავთ ნიადაგ.

გაგიჟდა ქარი

გაგიჟდა ქარი და ბინდში ჩანდნენ,
რუხი მგლებივით ხმელი ტოტები,
ქარის შეშლილი მუსიკა ჟღერდა,
სულ მაჟორული, მძიმე ნოტებით.

სარეცხის თოკზე კაცის პერანგი,
ევედრებოდა ჩემს ფანჯრებს ღიმილს,
გახშირებული მძიმე სუნთქვისგან,
ჭრელ მოსაცმელზე ამაწყდა ღილი...

დაღლილი ზეცა აღარ დარდობდა,
დაუსრულებელ შფოთვას, ქარისას,
მოგონებებში ვართ უკეთესად,
ბედნიერებიც – გარდა ამისა.

წარსულზე ფიქრი აღარ გაბედო,
ნაღველი შეგჭამს, ვით ხეს – ხვიარა,
ახალგაზრდობა არსად არ მიდის,
შენ ტოვებ ხშირად, თვითონ კი – არა.

უარს თუ ეტყვი სუყველა სურვილს,
დილის საჩუქარს გლოვით შეხვდები,
გადაგივლიან ხშირი წვიმები,
ამ სიფრიფანა, რუხი ჩექმებით.

გაგიჟდა ქარი და მეც ავყევი,
შემომეგებე, გზავ და ბილიკო,
ვეხლები ხეებს, აივნებს, ფანჯრებს
და ვისაც უნდა, გამაქილიკოს.

მე მირჩევნია ვიქცე ქარებად,
უმისამართოდ ვსდიო არწივებს,
შენ, როცა გინდა, გამწირე, ღმერთო!
ოღონდაც ფრთებით,
ამ ფრთებიანად
და ფრთაგაშლილი ქარი გამწირე.

* * *

ხეც წამოიღო, ზუთხიც და მურწაც
დგაფუნა ტალღამ და ჩაჰყვა მორევს,
საშიში კია, გადარეული,
მაგრამ არ მიყვარს მდინარე, მდორე.
ნუ შემპირდები, რასაც ვერ იზამ,
თევზის სანაცვლოდ რად მინდა ქიცვი[1]?
სიტყვაც მეყოფა, თუ მამყოფინებ,
რას მარგებს შენი ცრემლი და ფიცი?!
გარისკე, განა ვინმე დაგძრახავს?!
განა აგყრიან ჩინსა და მედალს?!
მზემ იცის ხოლმე, ხანდახან თოვლში,
თავის სხივებით ცელქობას ბედავს.

---

1 ქიცვი – თევზის ქერქლი

ტელეფონი

შორიდან რეკავ და, რა თქმა უნდა,
გვერდით რომ გყავდე, უთუოდ გიჯობს,
შენ ზღაპარში ხარ, მე კი ზღაპრებით
კარგა ხანია არ ვცხოვრობ, ბიჭო.

დიდი მადლობა, რომ სიყვარულით
და მზით მოზილე ფქვილი და თიხა,
შენი წვალება აზრად არ მომდის,
მაგრამ რა ვუყო ამ გულში ტიხარს?

კვიპაროსებთან

ნანა დედოფალს უყვარდა მცხეთა,
ეს, ჩვენი რწმენის დიდი აკვანი,
აქ ჩრდილში იდგა, აზიდულ ხეთა;
უფალო, კერპთა დავგმეთ თაყვანი!!!

დაბრმავებული სწუხს მეფე... ვინძლო,
ზადენს და არმაზს ამაოდ ელტვის,
სამყარომ თავის გულისთქმა იცნო,
სხვაგვარად ბრუნავს ტალღაც და ბელტიც.

ნანა დედოფალს უყვარდა მცხეთა,
ნანა დედოფალს მცხეთა უყვარდა...
და ნინოს სული – ალაგი მზეთა,
შუამავლობდა თითქოს უფალთან.

* * *

დაღამებულა და ქარი ბღავის,
ზეცა ქცეულა ღრუბლის ნარჩენად,
მოგონებები წყვდიადში ღამის,
გაცოცხლებულან ფეხმარდ არჩვებად.

ყოფილხარ მძიმე სენით სნეული,
გულს ცეცხლიანი ღობე არტყია,
ნოემბერია გადარეული,
აღარც კვირტია, აღარც ბარტყია.

ხანდახან მაინც რა ძნელად ხარობს,
ძირტკბილი ნერგი, მწარე ყვავილით,
ვაი, რომ მაინც არაფერს ვნანობ,
თავქარიანი, ანცი ქალივით.

ჩამოაწვიმა ზვინებს, ობიანს,
მძიმე ფიქრებში დავძრწი ღამემდე,
ასეთ წვალებას რით არ სჯობია,
ერთხელ ადგე და... მართლა დაბერდე.

ფლორენციაში

აქ, უცხო მხარეს... ფლორენციაში,
ძველ ხიდთან ერთი წყნარი ბარია,
მოვწრუპე ყავა, ამინდი ურევს,
ხან წვიმაა და ხანაც დარია.

მუზეუმები სცვლიდნენ ერთმანეთს,
სული მხატვართა ზეიმს დაესწრო,
გადავიღალე, მარტო ვარ, მიდი...
დაუკარი და გისმენ, მაესტრო!

სიზმარი ქართლში

ხან შხამი ვარ და ხან სათრობელა,
ხან – მაყვლის ბუჩქი, ხანაც – ფუტკარი,
უთხარი, გულო, ვისიც არ გჯერა,
სიზმარში მაინც ნათლად უთხარი!
ყირაზე დგება მთელი სამყარო,
დღე იყო მთვარე, ღამე მზე იყო,
ხომ აღარ გინდა, რაც ადრე გსურდა?
ისევ ისე ხომ ვეღარ ზეიმობ?
მოდის მაისი, მხვიარა ვარდი,
წითელ გვირგვინებს გზებზე დახატავს,
ნელი ნიავი ეჩურჩულება,
იქით ბიწმენდს[1] და აქეთ ახატანს[2].

1-2 სოფლები ქართლში

გარინდული ხარ

ამ ზამთარს როგორ ვუძლებდი?
გული არ გამოიფიტა,
მთაო, ზეცამდე ასულო!
გადაიხედე იქითაც...

გარინდული ხარ; ამაყად
მოგისხამს თეთრი მანტია,
აფორიაქდი, ძმობილო,
ხომ ხედავ, უკვე მარტია?!

მორბის მდინარე ბარისკენ,
გულისხეთქვით და ციებით,
მე რაღა მომკლავს, გამოჩნდნენ
ტყეში პრანჭია იები.

არ დავიღლები

არ დავიღლები ლოდინით, ფიქრით,
ცრემლით, სიცილით, თუნდაც თამაშით...
ვხარშავ ლობიოს, ვადუღებ კომპოტს,
შენ შემოდიხარ ცხელი ლავაშით.

რა ფიქრიანი თვალები დაჰყვა,
რა წესიერი შვილი გავზარდეთ,
ანგელოზის ფრთა გადაეფაროს,
სანამ მიაღწევს იღბლის ბაზრამდე.

არ დავიღლები ლოდინით, ფიქრით,
ცისკენ ყურებით, ყურებით გზისკენ,
ჩემს შვილს მამული შეუნარჩუნე,
გემუდარები, უფალო, გვიხსენ!

ძღვენი

დიდ აივანზე დგას ხის მაგიდა...
რამდენი რამე იტვირთა გულმა?!
სინზე აწყვია ნოემბრის ძღვენი:
მსხალი, ყურძენი, ვაშლი და ხურმა.

ისევ „ვღაღადებთ ღმერთის დიდებას“,
და მაინც ვარღვევთ ეშმაკის ფართობს,
უცხო მიყვება ამ ქვეყნის ზღაპარს,
მეც შენ მაგივრად ვიღაცას ვართობ...

თამარ მეფეს

ძლევა გალობისა, იცი, დიდებულ არს!
სული უნუგეშოდ აღარ გაიწირვის,
უკვე ცოდვა-მადლი სასწორს დადებულა,
აი, ხმები ლოცვის, აი, ხმები წირვის.

„მსხვერპლი ღვთისა არის სული შემუსრვილი“,
დიდება მამასა და ძესა, წმინდა სულსა,
უკვე დაუნთია ყველგან ფიჭა-ცვილი,
ქართვლის „დედოფალსა“, ლოცვად ცად ასულსა.

ლომებზე

ლ.კ.-ს

ლომებზე ვდგავარ, მზისფერ ლომებზე,
მიმაგელვებენ ფაფარაშლილნი,
და დედამიწაც ამ სისწრაფეში,
ბრუნავს და ბრუნავს ცოდვის ვაშლივით.
ხომ არ გგონია ჩერდება წამი,
კაენს და აბელს თავისი უჭირთ,
ზოგჯერ შეკრული, ზოგჯერ დაშლილი,
ხან ცარიელი, ხან სავსე კუჭით
კაცობრიობა ტირის და მოთქვამს,
მავნებლობს, ცრუობს, აბეზღებს, იბრძვის...
ხან წმინდანია მისაბაძი და
ხან მოხდენილი „დიაცი სიძვის“...
კაცობრიობა ტირის და მოთქვამს,
ხანდახან მაინც გმირებს ადიდებს,
ზოგჯერ დიდია ჩვენი სამყარო,
ზოგჯერ ციდა და მოჰგავს სათითეს...
თან, გააჩნია საიდან უმზერ,
ანდა, საერთოდ, ფიქრად რა გიდევს?!

ლომებზე ვდგავარ, მზისფერ ლომებზე,
მიმაგელვებენ თავის ჭკუაზე,
ვიღიმი, ვტირი, მძულს, მიყვარს, ვშრომობ,
ვაშენებ, ვამსხვრევ, არ ვარ უარზე,
ხან სადედოფლო სუფრა ბჟღვრიალებს,
ხან ვყაბულდები პურის ყუაზე...
ასე იყო და ასე იქნება –
აქეთ, მხედრები, იქით, ჩარჩები,
ჰოდა, ცხოვრებაც განა რამეა,
არც მოკვდები და არც გადარჩები.

წახემსება

ედგათ ბოღლიწო და ლუდიც ედგათ,
შამაიას და ტარანას ჭამდნენ,
– მიდი და ცივი წყალიც მოიტა...
ორი ნაბიჯი გვაშორებს ჭამდე.

ქართული ზეცა დასცქერის ტაბლას,
დამტვრეულ შოთებს, წითელ წიწაკებს,
შე უბედურო, ტყავსაც გაგაძრობ,
მამულს თუ კიდევ ერთხელ მიძაგებ.

სოფლის ბილიკი

წითელი კაბით ასკილის ტოტი,
და გაძარცული პატარა ბალი,
ხელში ჩვილით და მომცრო კალათით,
ოქროსთმიანი ყმაწვილი ქალი.

უკან მიჰყვება ვნებებით მთვრალი
ვაჟი; მის ქმარზე ფიქრობს ნაკლებად
და ბევრი-ბევრი, ერთხელ აკოცოს,
მსოფლიო რუკას რა დააკლდება?!

ასე მგონია

„გამომაღვიძე ჩანგო და ქნარო“
ფსალმუნი (107-8)

ასე მგონია განვთავისუფლდი,
იუპიტერზე გაფრენას ვლამობ,
დღეს კიდევ ერთხელ მივხვდი რაღაცას,
მშვენიერი ხარ, ცრემლების გამო.

აი, ცხოვრების არჩევანივით,
ლანგარზე ყრია ოქრო-მოცვები,
„გამომაღვიძე ჩანგო და ქნარო“,
შევეგებები ცისკარს ლოცვებით.

დრო ლომის ქედზე ამხედრებული,
ზოგჯერ უშენოდ, თავისით გავა...
მიუტევე და მიუალერსე...
არ შეიძლება, სულელთან დავა.

კახეთში

შემოდგომაა, ახშანში გრილა,
მთებს კი, სვანური ქუდი ახურავთ,
თიხის დოქი და დაბალი ჭიქა...
მიდი, დაასხი, ერთი კახურად.

ნაკვერჩხალზეა შემწვარი მწვადი,
დამტვრეულია დედას პურები,
ჭრელი ვარია ეზოში დადის,
დატვირთულია თივით ურემი.

დაუკრეფიათ ხილი და თხილი,
მარნის კარები გაღებულია,
ჭიშკრის მახლობლად ძაღლია ფრთხილი,
არ ეკარება ძილი სრულიად.

დაკეტილია საბძლის კარები,
სიმინდის მარცვლებს იქვე ხალავენ,
ვინღა აკითხავს ასე ნაჯაფარ,
უკვე ვალმოხდილ მოგრძო ტალავერს.

მადლობა ფერეგის დღესასწაულისთვის

ვუძღვნი ზურაბ ნიჟარაძეს

ვაკვირდებოდი,ხატავდა წყნარად,
ფიქრიან თვალებს ოდნავ ჭუტავდა,
იდგა მოლბერტთან მშვიდი და ლაღი,
ვით გუთნისდედა თავის გუთანთან.

თითქოს ოთახში მთელი სამყაროს
და გაზაფხულის კვირტი ჩნდებოდა,
ასე მეგონა, უფლის სიმშვიდე,
საგრძნობი იყო, სადღაც, ზემოდან.

ხშირად პურობა, ხშირად სტუმრობაც
და მასპინძლობა სავსე სიკეთით,
იქ ვერ შეხვდები „უამინდობას“
და მოყვასისთვის კარებს მიკეტილს.

დღესასწაული მოეწყოთ ფერებს:
ლალებს, ზურმუხტებს, ქარვებს, აქატებს,
სიყვარული და სითბო მოჰქონდათ,
მეტი რა უნდა ექნათ ნახატებს?

გვიხსენი „ჩვენი მტრებისგან ღმერთო“,
რომ ხელოვნებით შევძლოთ დანდობა,
დიდი მადლობა ამ სამყაროსთვის,
სილამაზისთვის დიდი მადლობა.

***

ქარი დაქროდა, იყო ღრუბელიც,
ფოთოლთა ცვენაც ყოველი მხრიდან,
უკვე ჩაეცვა მიდამოს თალხი,
ბინდდებოდა და ცრიდა და ცრიდა.

ხატებთან იდო ძველი ბიბლია,
საკმევლის სურნელს ყნოსავდა ბავშვი,
შეყუჟულიყო ხეზე ნიბლია
და შენთვის ლოცვით ამაოდ დავშვრი.

ნაწვიმარი ტყე

მანგლისში მაიას აგარაკზე

დაფენილია ოქრო მიწაზე,
მივდივარ, ფოთლის ჩურჩული მესმის,
აქედან, ვიცი, ძალზე შორია,
ადამიანთა შური და გესლი.

კვდება ფოთოლი, ლამაზად კვდება,
მიაქვს სექტემბრის სითბო და მადლი
და ჩემი ჩუმი სევდის ნაწილი,
სულ აღარ მახსოვს წვიმებით დაღლილს.

მძივი

ჩემი მძივია ცეცხლიანი ყვავილი ნუშის,
გომბორის ქარმა ლურჯი ალი ნისლად აქცია.
რა იყო, გულო? რა არ გყოფნის
ამ ქვეყანაზე?!
ვისი არ გჯერა?
ვინ გაწუხებს?
რამ გაგაცია?
მოდის ღრუბელი. აულაგმავს მზე და დარები,
უსამართლობა დაისჯება შურდულა სეტყვით.
ტყეო და მთაო! ამ ბროლებით დაიფარებით,
მაგრამ გაჩუმდით, უიმედოს ნურაფერს მეტყვით.
ცეცხლმოდებული ყვავილების ასხმა იწვოდა,
დამღალა ალმა, სევდა დამრჩა საგზლად, ულევი,
ნელი ნაბიჯით მივუყვები ამ სოფლის სავალს,
დაბნეული და გადაღლილი, ნამარხულევი.

კიევში თბილისის მონატრება

ვუძღვნი მეგობრებს გელა დუმბაძეს
და მის მეუღლეს – ირინას

დრო მიდის ისე სწრაფად და წყნარად
და ამ ქუჩებმაც დარდი დამიცხრო,
შენ, ჩემი ბიოგრაფიის ნაწილს,
რა დაგმართნია, ხატზე ნაფიცო?!

შენ, რატომ გიჭირს ღიმილი ასე,
მაშინაც, როცა არაფერს შიშობ,
რა მოუვიდათ ღვინიან თასებს,
სიყვარულის და სიმღერის გიჟო?!

დავდივართ, ქალაქს ვათვალიერებ
და მეგობრების, მათბობს, სიტყვები,
ჩვენ აქაც საქართველოზე ვფიქრობთ
და ხრეშატიკის ქუჩას მივყვებით.

იოანე შავთელი

ვიჯექ თამარ მეფის მდივნად,
შემდეგ ვწერდი იამბიკოს,
თუ მოყვასმა არ გამწირა,
მე, უბრალოდ, სხვამ რა მიყოს?!

სიბრძნით ვწერდი „საძიებელს“,
„მასწავლებელს“ ვწერდი სიბრძნით,
ვიბრძვი ქარად რომ არ ვიქცე,
მიწად ვიქცე, ამად ვიბრძვი.

* * *

ო, რა ლაღად, რა მოლხენით,
რა სინაზით
გალობს ჩიტი.
ნიავს შენსკენ მოვყვებოდი,
ცისარტყელას ფერებს ვთვლიდი.
ნაძვი დგას და კაბას ირგებს,
იწყობს გირჩებს, ირთავს წიწვებს,
მერე თითქოს საალერსოდ,
ვინც შეამჩნევს, იმას იწვევს.
    ო, რა ლაღად, რა სინაზით,
    გალობს ჩიტი, პაწაწინა,
    ნეტავ ასე რატომ ილხენს,
    ალბათ, სატრფომ გააცინა.
    თუ გიყვარს და თუ უყვარხარ,
    ყვავილობენ ბაღებიო,
    სიცივით და უგულობით,
    აღარ დაიდაღებიო.

პურის სურნელი

პურის სურნელი,
სავსე თავთავი,
ყანა და კალო, წისქვილი,
ვარცლი...
ქართველზე უთქვამს უფალთან იღბალს –
სიკვდილის წინო — სიმღერას ვაცლი.
ამდენი ფიქრი და გამარჯვება,
ამდენი მტრობა,
ბრძოლა და მარცხი...
მაინც ამ ცვრიან მიწას ქარგავენ:
თიღვა, ქორეთი,
კორტი და
კაცხი.

ხარკი

რაღა დროს ჩემი გაოცებაა?
დიდი ხანია სიკვდილთან დავრჩი,
ღრუბელი ისე მოიზლაზნება,
როგორც ტყის პირთან ბებერი მაჩვი.
გალეულია ბურუსი ოდნავ,
ცამ თითქოს სხივიც გამოაჩინა...
მე ვერ ვიგრძენი ამ სოფლის სითბო,
ახლა კი არა, მგონი, მაშინაც:
როცა მზე ოქროს ჰამაკში სვამდა,
მავანს და მავანს, ენთო თიბათვე,
მე რას მომკითხავ, ჟამო, გრძნეულო,
ხარკიც დაადე ისევ იმათვე!

* * *

რა ვუყო ფიქრებს – მოწყენილ გვრიტებს,
ამ უძილობას, უიმედობას?
ხანდახან შიში ძაღლივით გიტევს,
მაინც ლოცულობ ხოლმე ბედობას.

ენკენისთვეა და ფრუტი წვიმა,
დგაფუნ-დგაფუნით მიწას ეცემა,
ძნელია, როცა სულშიაც გცივა
და გიწევს ბნელში ხელის ცეცება.

ალბათ, მიყვარდი

ალბათ, მიყვარდი, აბა რა იყო,
შენთან ბაასი გამთენიამდე?!
ეს სიხარულიც წყალმა წაიღო,
რა დააბრუნებს ჩავლილ ნიაღვრებს?!
ალბათ მიყვარდი, აბა რა იყო,
რატომ მეტკინა გული ძალიან?
რატომ მინდოდა შენთან ყოველთვის
და ახლა რატომ აღარ მცალია?
რატომ მჯეროდა შენი ტყუილიც,
მართალს ისედაც ყველა იჯერებს,
ბოროტებისთვის მზად არ ვიყავი,
ცრემლებით გული ჯერ ვერ ვიჯერე.

* * *

ჩარჩენილია ჭიქაში ყავა,
ზის და დასცქერის ფინჯანს მკითხავი,
რა ვერ გაიგე ჩემგან ნათქვამი,
რა ვერ გაიგე, რა ვერ გითხარი?!

ვარსკვლავი მოსწყდა აგვისტოს ღამეს,
და სამაჯურის თვლებზე ამენთო,
მე შენი გულის ძგერას ავყევი,
როგორც კაპელა უსმენს კამერტონს.

უბედურება ყოველთვის მოგვდევს,
როგორც მოსდევენ ღრუბლებს ქარები,
და იმ ნათელი დღეების შემდეგ,
თითქოს ხაფანგის ბრჭყალში გავებით.

მახეებს ხშირად გვიგებს ცხოვრება,
სიხარულს გვიწვდის დროდადრო პეშვით
და უმალ ისევ ისე გვაშფოთებს,
როგორც ტყის პირთან მტაცებლის ეშვი.

ათონის კრებული

იჯდა ზოსიმე[1] ივერიის ნათელ ლავრაში,
ხელნაწერ კრებულს უფლის სულის
მზერა ათბობდა;
ენთო სანთლები
და ყაყაჩოც სანთლებად ენთო;
ქარი ცელქობას ვერ ბედავდა ახლოს ათონთან.
ლოცვა ისმოდა,
შრიალებდა თალხი სამოსი,
ურჩი ეგონა ერთი ბერი მამა იაკობს,
ირიჟრაჟა და იქ არავის ეძინა მაინც;
მზის ერთი სხივი, იმ წუთიდან
ღამეს მიაპობს.

---

1. 1072-1077წწ ათონის მთაზე მოღვაწე „უღირსი ზოსიმე“

ნატვრა XVIII საუკუნეში

ჭილთა და ხრალთა ნაქსოვი,
ზურგზე მოიგდო სფირიდი[1],
არც თოფი, აღარც ლეკური,
არც ბედაურით ჯირითი.
მიდის დრო, წარსულს ჩაბარდა,
ბრძოლა, შფოთი და ხანძარი,
მეფეო, მიწას ნუ დათმობ!
ყარალაჯისკენ დაგვძარი.

1. სფირიდი – ჭილობის ტომარა

***

უფლის ნებით და სამყაროს ნებით,
ვარდებში მაინც მოჩანს კესანე,
ვიდრე გიღიმი ლხენით და შვებით,
ვიდრე ჩვენ შორის გაჩნდა მესამე.

მოდი, მივუგდოთ ყური მაცხოვარს
ქვევით – „ილორი“, ზევით – „ბედია“...
ივლისმა ნისლის კაბა მათხოვა,
პეპელამ – ფრთები, ესეც ბედია.

* * *

ნაფიქრია ყველაფერი,
შექმნილია მერე,
ზევით – უშბის მწვერვალები,
ქვევით – სოფლის ღელე,
ნაფიქრია ბევრნაირად...
გაფერმკრთალდა ფიცი,
არაფერი არ ამიხსნა,
ყველაფერი ვიცი.

სიყვარული

ქარი გადასწვდა ნაზად ატმის ტოტს,
ტოტიც აღმოჩნდა გრძნობის ამტანი,
ვარდისფერ ყვავილს მიეალერსა
და დაიბადა ხეზე ატამი.

ხელთათმანი დუელისთვის

არც ცრემლებია, არც საყვედური,
აღარც უაზრო თავის მართლება,
სადღაც წავიდა ის შლეგი წლები,
როცა ვიყავი სხვებზე თავნება.

ქარმა შეშალა მსხმოიარე ხე,
ლამაზთვალა და ლამაზყურება,
რა გულგამსკდარი ქალივით იცის
ბროწეულებმა შემობრუნება.

ირწევა ტოტი და ყვება ამბავს,
პირველად მივხვდი, რომ თავს ვღალატობ,
მე სუყველაფერს თავიდან ვიწყებ,
შენ – პასუხს მოგთხოვ, გულო-ჯალათო.

სინანულივით ნაზია ცრემლი,
ოცნებასავით ურჩი და წმინდა,
ჰოდა, ამ ცრემლით წუხელ მოვქსოვე
ხელთათმანი და ქათქათა წინდა...

დუელში გიწვევ, დარდო, ხარივით,
ვიცვამ მოქსოვილ ლამაზ ფაჩუჩებს,
ყველა სიცრუის თავშესაფართან,
ციხეს დავლეწავ, როგორც ნაჭუჭებს.

მე ნახანძრალი და ნაჯაფარი,
ისევ გავიშლი ვარდისფერ ზეწარს,
და ვერ წამიღებს ქარი ვერსაით,
ვით მიმორხეულ პატარა ლერწამს.

***

შერჩენილა საქანელა ხეზე,
მსხლის ხეს ფერი დასდებია მიწის,
იწვის სახლი, მამა-პაპის ეზო,
აფხაზეთში საქართველო იწვის...

ჭიშკრის ახლოს წამივიდა გული,
პაწაწინა ფეხსაცმელი ეგდო,
დაიფარე საქართველოს სული,
შენი ჯვარი დაიფარე, ღმერთო!

სამაჩაბლო

შენ მოირწევი მშვიდად ამ მზიან
გზაზე და გშველის ერთი ურემიც,
მე არ მასვენებს ეს ტრაგედია,
გაცეცხლებული ბედაურების.

ვიღაცას ისევ ამაოდ ვენდეთ,
ჩქარა! – გვეძახის ვერხვი და მუხა
და მიტოვებულ ნასახლარებზე,
შეშლილი მთები ამაოდ სწუხან.

შენ მოკვდი მზეჭაბუკივით

ლადო ასათიანს

თბილისი ლურჯი ცრემლით აივსო,
სტვენდა ტოროლა მაინც იმ დილით,
მაგრამ გული რომ ვეღარ მაისობს,
ასჯერ მოკვდები ერთი სიკვდილით.

იქ დააკვნესეს ეს გუდასტვირი
და ლეჩხუმიდან გწერდნენ ბარათებს,
ზოგჯერ „ბოროტ სენს“ კი არ დასტირი,
ქრები და მერე ლექსად ანათებ.

სიკვდილის ჯიბრზე ისევ ელავდნენ,
ფართო თვალები, როგორც ორი მზე,
ხველებისაგან წამსკდარი სისხლი,
ყაყაჩოებად გცვივა ლოგინზე.

ანგელოზებმა თან გაიყოლეს,
უფლის მტრედივით სურვილი წმინდა,
„ხომ ლამაზია ეს საქართველო“,
მაგრამ შენ უფრო ლამაზი გინდა.

ფეხის ხმის ექო ქუჩას შემორჩა,
დილით ცა გიგლოვს, ღამე ბუ კივის,
გხატავ მზეჭაბუკს, რაშზე შემომჯდარს,
შენ მოკვდი, ზუსტად მზეჭაბუკივით.

მზე

მე მზეს ვეკუთვნი,
მოეფერეთ ამიტომ ბაღებს,
შენ ზღვას ეკუთვნი,
აი, გჩუქნი ცისფერ იალქანს.
ჩემი სამშობლოს მზისფერია
ატმის ბაღები,
ჰოდა, რამდენჯერ გაგაცინე,
როცა იავდრა.
მცხელა ძალიან,
თითქოს მეწვის ფეხისგულები...
მზემ მაბურთავა,
მერე დამსვა მთაზე გომბორის,
აი, ამიტომ ავიტანე მძიმე სიცივე,
აი, ამიტომ არ ავყევი ამბავს მოგონილს.
ხშირია, როცა წვიმის ღმერთი
სეტყვას დამაყრის,
არც ის არ მიკვირს – სიკეთის წილ
ძაღლებს მისევენ,
არ გაიცინო, ჩემი ძალა თილისმაშია,
იმ ერთი წუთით, მზის სხივებზე
როცა ვისვენებ.

დამწიფდა უნაბი

დამწიფდა უნაბი,
ვაშლი და გულაბი,
ქარვისფრად ღვივიან
ზედაზნის მახლობლად,
მადლობა შემოქმედს
ამ თბილი მიწისთვის,
მტკვრისთვის და რიწისთვის,
ბზიფისთვის მადლობა.
    მადლობა უშბისთვის,
    დიკლოსთვის, მუცოსთვის,
    ჯვრისთვის და როკისთვის,
    ცრემლისთვის მადლობა;
    უსმინე ნოემბერს,
    ნიავმა
    ხრაშუნა ფოთლები გაფანტა
    კოლხეთის დაბლობთან.
დამწიფდა უნაბი,
ვაშლი და გულაბი –
ღვივიან ტოტებზე,
მზე ჩადის, ბინდია...
მთებიდან, ფიქრებით
დაღლილი ჩამოდის,
უბელო თეთრონით,
უხანჯლო მინდია.

წითელი ყვავილი

რადგან ცუდად მაქვს სიტყვა დაცდილი,
მე გეფერებით ჩუმად, უთქმელად,
ქარშიც და მზეშიც უკვე განცდილი,
ჩემო თელავ და ჩემო ურთხმელავ –

წარსულზე დარდი ალბათ ჩაივლის,
ძეძვის ტოტებზე ქარი ბანცალებს
და დაკაწრული ეკლით ყვავილი,
თითქოს სულიდან ამომაცალეს.

ყოველთვის მოდის გამოცდის ჟამი!

მოვდივარ მარტო, მოვდივარ შენსკენ,
ვეჩვევი ძნელი გზებით ბორიალს,
მარტო ამაში ბოლომდე მენდე,
რომ ეს ასეა და არ მგონია:

ლექსს და სამშობლოს ყოველთვის უნდა,
შენი სული და შენი ღირსება,
მაშინაც, როცა გული ბოღმით და
ამ წუთისოფლის შხამით ივსება.

მაშინაც, როცა შენ ხარ ტყვე ქალი,
მაშინაც, როცა მზის სხივზე ზიხარ,
მაშინაც, როცა შენი ეზოსთვის,
აპირკეთებენ ბროლსა და ფიქალს;

ყოველთვის მოდის გამოცდის ჟამი,
რაღაც წვრილმანი მსხვილმანს გვანიშნებს,
მერე ცხოვრება თავად გადაწყვეტს,
შენ შეებმები თუ სხვა ქარიშხლებს.

მოვდივარ ცრემლით, ღიმილით, ბრძოლით,
ტკივილით, მაგრამ ზოგჯერ ხალისით
და მესალმება ხან ალაზანი,
ხან შუამთა და ხანაც კრწანისი.

მოვდივარ მარტო, მოვდივარ შენსკენ,
ძალიან ხშირად ქანცგაწყვეტილი,
ფერფლად ვიქეცი და მაინც ვიწვი,
ფიქრის და დარდის მრავალწერტილი.

მარაო

აჰა, შენგან ნიშნობისას მორთმეული მარაო,
წავალ, როგორც უცხო ქალი,
შენი ფიქრისთანაო,
არც მოგხედავ, არც ვიზრუნებ,
ჩრდილებს ავეკიდები,
ყოჩივარდის სურნელებით,
ამევსება თითები.
ქარმა ცხრა გზით დაუბეროს,
სხვაგან გადამაფრინოს,
ცისარტყელას ვუსახსოვრებ,
ჩემს ძოწებს და საფირონს;
ვიცი, გზაზე ხან სემია,
ხანაც იაფეთია,
ათინათი ამაცილებს,
უგულოს და ფეთიანს.
მზეო, ისევ შენ გეკუთვნი,
გულში მზიანეთია!

გულწითელები

ზღვა იყო მღვრიე და ფეხმოტეხილ
თოლიას ეცვა თეთრი სამოსი,
ავმა ფიქრებმა მომიღო ბოლო,
სურნელი მცემდა სასაფლაოსი.

ბაფთით შეკრული ქრიზანთემების
და მიხაკების იქით, რატომღაც,
მიტოვებული საფლავის ქვაზე,
გულწითელების გუნდი ჩამოჯდა...

ო, ბედისწერავ!

ცა მოჭედილა ვარსკვლავებით, ცა მოჭედილა,
აქეთ – ცხენები, იქით ხარი... ქშინავს ჭედილა;
ძლიერად სუნთქავს გაზაფხული, გრილი ღამეა,
პერანგს მიმშვენებს ნაჩუქარი შენი კამეა...
ვგრძნობ, ჩემ სხეულში აბობოქრდნენ ავი ქარები,
ო, ბედისწერავ! ახლა წინ ვერ ამეფარები...
თავად დავამსხვრევ ამ ჩაკეტილ, ვიწრო გალიას,
მე მედარდება ის, რაც მარტო ჩემი ბრალია,
სურნელი მომწონს პიტნის ფოთლის, ცხელი ლავაშის,
ქორწილი მიყვარს ჩოხაში და ჩითის კაბაში.
გადარეული მოდგაფუნობს მთაში არაგვი,
არ დამელევა იმედის და რწმენის მარაგი...
ყვავის ატამი, ხის ყვავილი პეპლებს მაგონებს,
არ ჩავაბარე ჩემი ბედი ქვეყნის ბატონებს.
ვგრძნობ, ჩემ სხეულში აბობოქრდნენ ავი ქარები,
ო, ბედისწერავ! ახლა წინ ვერ ამეფარები...

* * *

ნიკოლოზ ბარათაშვილს

ჩამავალი მზე მსტუმრობს იმდენჯერ,
მეც ხშირად ვკოცნი სხივებს ფანჯრიდან,
უფალო, შენს ხმას რომ არ მივდევდე,
ამ „სიბნელეში“ რაღა გამრჯიდა...

ბოლოვარსკვლავა ღვთიური კალმით,
ტანჯული სალამს გიძღვნი განჯიდან,
უფალო, შენს ხმას რომ არ მივდევდე,
ამ „სიბნელეში“ რაღა გამრჯიდა?!

მამას

ქარმა ღრუბლები გამოგარიდა,
საყვარელ ქუჩებს ფეხით მიჰყვები.
თბილისსაც უყვარს ხანში შესული,
მამა, თავისი კარგი „ბიჭები“.
თვალდახუჭულიც რომ ვიდგე სადმე,
შენს ნაბიჯს სხვისგან მაინც ვანსხვავებ
და ღმერთის ნებით, ჩემს სამყაროში,
ხშირად შენ ჰკიდებ ფერად ვარსკვლავებს.
სიბერის ყმუილს არ შეუშინდე,
ზოგჯერ ტკივილად, ბზარად გაჩენილს,
ჩემი ლოცვები გააფერმკრთალებს,
რაც გულში დაგრჩა სევდის ნარჩენი.
ეგ შენი სახლი ჯადოსნურია,
სახლი, რომელშიც მუდამ ვთავნებობ,
სახლი, რომელიც უკვე დავტოვე
და იქ ცხოვრება მაინც არ მეყო.

ცვალეგადია ამინდი

იდგა დარი,
ვიზინდარი
ცხენებს თვლიდა თავლაში.
დევი მწვადებს აბრუნებდა,
კუნძზე იდო ლავაში.
მერე ღრუბლის ერთი ფენა,
ციდან ნელა დაეშვა...
ცეცხლის პირას,
მაყვლის ბუჩქი,
იქარვებდა კაეშანს.
ღრუბლებიდან გადმობრძანდა,
ბურუსების ნათლია,
ჭიქა ღვინო მიაწოდეთ,
დაღლილია,
მადლია.
უცებ, სადღაც,
თეთრი ელვა,
მთამ ზედ შემოიტარა,
მომაწოდე,
საყვარელო,
ვარდისფერი გიტარა.

უხერხულია

უხერხულია ვიღაცის ხარჯზე,
წარმატებული გერქვას ამქვეყნად,
ყველა დიადი სულის პატრონი,
გზად ცრემლიანი თვალებით შედგა.
უხერხულია შენ იცინოდე
და მათხოვრობდეს ქუჩაში ბავშვი,
უხერხულია ჯიბეში გედოს,
ყველა კარებში გამსვლელი საშვი.
უხერხულია დააკანონო,
რაც გაწყობს და სხვებს ურჩიო თანაც,
უხერხულია, სხვისთვის ლესავდნენ,
შენ ამოწმებდე დასაკლავ დანას.
უხერხულია შენი თაობის
სისხლი და ხორცი შენვე გშიოდეს,
„რქამოტეხილი“ შერჩები ბილიკს,
დაგაჩოქებენ საიქიომდე.

სარფთან

მე გაყიდული შენი შვილი ვარ,
გადარჩენილი საზღვრების იქით,
დროს ველი – ჩემთვის როდის დაიწყებს
საწუთრო ბრუნვას ზრუნვით და ფიქრით.

დაქვრივებული პატარძალი ვარ,
ჭური ვარ, ღვინით რომ არ ივსება,
სუყველაფერი წამართვეს, მაგრამ
არ დამიკარგავს მაინც ღირსება.

მე ვარ მლოცველი უეკლესიოდ,
დაბადებიდან შვილი ობოლი,
ხე ვარ, რომელსაც იქით მოუყვა,
ერთი ტოტი და ასი ფოთოლი.

მე მიმინო ვარ, შენგან გაწვრთნილი,
ნანადირევით რომ ვერ ბრუნდება,
რქაწითელი ვარ, სხვისკენ გაწვდილი,
რქაწითელი ხომ არ გახუნდება.

მე ტკივილი ვარ ციდან მოსული,
მოურჩენელი, სიმწრის ცრემლებით
და რასაც ფიქრობს ქალი ორსული,
გულში ოცნებით და იმედებით –

ველი და ველი მზის გამოჩენას,
აყვავილებას, გაზაფხულს ნამდვილს,
კვირტები ზღაპრებს რომ მოჰყვებიან
და ძირს დამიგდებს ღიმილი მანდილს.

* * *

ფარავნის ტბასთან, ფოკაში,
სალოცავია ერთი,
მოდი, ახლავე წავიდეთ,
„მოვინახულოთ“ ღმერთი...
მერე ხიხანში შევიდეთ,
მერე მაჩვენე სხალთა,
წითელი ყაყაჩოებით
ამავსებინე კალთა.

***

ვერც შენ გაიგე, რაც მე გითხარი,
არ გსაყვედურობ, ეგ არაფერი,
ვითომ დამთავრდა ცუდად სიზმარი,
და სულ სხვა იყო სიზმრის მნახველიც.
გული თუ მტკივა, მერე რა უჭირს,
უნდა გეტკინოს გული ხანდახან,
დრო სუყველაფერს ფეხქვეშ გაიგდებს,
მოსპობს, აიკლებს, დაგლეჯს, გადახრავს...
მაგრამ ხომ იყო ნატვრის ხე ახლოს?!
შეიძლებოდა ჩიტის დაჭერა,
მე მეგონა რომ, შენს გულში სახლობს,
ჩემი ოცნების სხივი ამჯერად.
ცუდად ვიყავი, მერე რა უჭირს?
მე ხშირად მტკივა გული ისედაც.
წაიღოს წყალმა ჩემი სიზმარი,
ისიც წაიღოს, ვნახე ვისზედაც.

წერილი ძმას

„სული მიწუხს და ვიტანჯები“

ვან გოგი

ნახვამდის, თეო! -
ვამთავრებ წერილს,
სულში ბორგავენ ვნებები ჭრელი,
გამოჩნდა, მზეო!!!
ფერები მწველი,
მზესუმზირები თვალისმომჭრელი.
ნახვამდის, თეო!
ღამე მაწვალებს,
ქარიშხლიანი სული მქონია,
შენ ქრები დღეო,
როგორც ტალღაზე,
ხანდახან ქრება ხოლმე თოლია.

***

რა ამინდია?! –
თბილი სხივები,
გულზე დაიკრა ფშავის ხეობამ.
მოდის მინდია,
ხელში იებით,
გუდანის ჯვარის არის დღეობა.
წითლად ანათებს
ცეცხლის ალივით,
ზოგან ჟოლო და ზოგან ძახველი,
მოდის მინდია გულახელილი,
ქაჯთა სიბრძნის და ბევრის მნახველი.
რა ამინდია?!
ეს ცისარტყელა,
გადმოიზნიქა ნელა ფხოვიდან,
იყო ხანჯლების პრიალ-ბზრიალი,
შატილს მუცოდან მაცნე მოვიდა.

დელფინარიუმთან

რა საოცარი ხმები ჰქონიათ,
ამ შენს მეგობარ კეთილ დელფინებს,
გარიჟრაჟია. მზის ამოსვლისას,
უკვე აივანს გადმოეფინე.
ქალთევზასავით გიზიდავს წყალი
და გიყვარს შენი თეთრი ქალაქი,
ეს რა თილისმა გკიდია ყელზე,
იღბლისაა თუ მზის და ბარაქის?
მივყვები ქუჩას, იქვე პალმებთან,
ჩახუტებია ბიჭი გოგონას,
საით მიცურავს გემი, არ ვიცი...
აი, ბურთი კი, ჩემკენ მოგორავს.
ცოტა ხნის შემდეგ შინ დავბრუნდები
და ბათუმს კეთილ სიზმრებში ვნახავ,
მცივა თბილისში, ასე მგონია,
დაღებული აქვთ ურჩხულებს ხახა.

***

აუხირდება ამინდი ქუჩებს,
მთვრალი კაცივით ტოტებს აწვალებს,
მერე შეუბღვერს მწიფე ალუჩებს,
ორპირობას და ღალატს დასწამებს.
აცერცეტდება ბაბუაწვერაც,
დააფრინდება ყვითელ ნარცისებს,
მოსწონებია ყვავილის ენა,
შეჰყვარებია, მაგრამ არც ისე...
ამოდი, მზეო! სითბო გვაკლია,
გამრავლებულა საყვედურები,
ქარი ამინდის განა ნაკლია,
მაგრამ ცოტა ჰყავს ნაერთგულები.

* * *

საღამო მშვიდობისა,
შენ უკვე მოხვედი?
წინასწარ ვიცი, რომ
აღარ დამაძინებ...
შავებში ჩაცმულო
ჩემო ქალბატონო:
ხან მტანჯავ, ხან მშველი,
მაწამებ, მაცინებ...
საღამო მშვიდობისა,
ამაფორიაქე,
ამაღამ ხომ შევალთ
ოცნების კარავში?!
მოცარტი დაუკრავს
ცრემლებით რექვიემს,
ორივემ ვიცით, რომ
იწყება თამაში.
ნიღბების საამქრო
მოიწყეს ლანდებმა,
დილამდე ჯერ ისევ მრავალი წუთია,
სახეზე მოირგეს ლითონის ფორმები,
წვეთობით დაადნეს რკინა და თუთია.
ფერადი ქაღალდით მორთეს და მოკაზმეს:
ცისფერი ჩექმები, ეტლები, დარბაზი.

შემოდის ცხენით და ჩირაღდნით პატარა,
ხავერდის ბაფთებით მორთული ჯამბაზი.
იწყება ზეიმი...
დავეძებ მზეჭაბუკს,
დრო გადის, ნიღბები სუყველას დასცვივდა...
ეს ჩემი რაინდიც გაქრა და დაიფშვნა.
თენდება; რა მძიმედ თენდება... აცივდა.
დილა მშვიდობისა,
შავებში ჩაცმულო,
ჩემო ქალბატონო –
ჩემო უძილობავ,
მე გავალ ქუჩაში
და ისევ მკითხავენ:
რატომ დაგჩემდაო
ფერგაცრეცილობა?!

დრომ ჩაიქნია ხელი არაგვთან

ასე ქრებოდა თეთრი ვარსკვლავი,
ასე დნებოდა თოვლი უკვალოდ,
ასე შეშურდათ ოსტატის მკლავი
და შენი შრომა, მუშა ფუტკარო.
ასე დაინგრა ციხე რაჭაში,
გრიგალს შებმული ერთი მწერივით,
ასე გააბეს მტრედი მახეში,
ფეხზე მიბმული სატრფოს წერილით.
ცას ეტყობოდა მოწყენილობა,
დრომ ჩაიქნია ხელი არაგვთან,
ლომმა ვერა და ვეღარ ილომა,
ჯოჯოხეთივით ახსოვს მარაბდა.
მეფობს შური და უიმედობა,
ღალატი ისევ ისე ბოგინობს,
მაინც მინდა, რომ ვინმეს გმირობა
და უკვდავება შემატყობინოთ...
გახლიჩა სხივმა ბურუსი თეთრი,
თუმცა აღარ ჩანს გზები სავალი,
თენდება ნელა და გულისხეთქვით,
ყივის და ყივის ჭრელი მამალი.

* * *

ვუძღვნი ბიძის –
მინდია შენგელიას ხსოვნას

იქნებ იმიტომ ვიტირე,
მზემ რომ სხივები დახარა?!
გავინაწილოთ: ჩიტი – მე,
შენ – ეს ჭადარი ჭაღარა.

დამწიფებული მოცხარი,
აფახულებდა წამწამებს,
სიზმარში გნახე ცოცხალი,
ცხადში სიკვდილი დაგწამეს.

იქნებ იმიტომ ვიტირე,
მზემ რომ სხივები დახარა?!
გავინაწილოთ: ჩიტი – მე,
შენ – ეს ჭადარი ჭაღარა.

მოგონება

გამთენიისას მზის ერთმა სხივმა,
ღამეს თვალები უცებ დასთხარა
და შემოჭრილმა ნიავმა ცივმა,
იჟონგლიორა, როგორც მასხარამ.

მთვარეს პალიტრა ეჭირა ხელში,
და ღრუბლებისგან ხატავდა ცხოველს,
დეკემბრის პირზე, დარდი რომ ვიგრძენ,
მზეო, საშველად კვლავ შენთან მოველ!

განსჯის დრო მაშინ მართლა არ იყო,
ღამე გათენდა წვალებ-წვალებით,
და მონაზონიც იქ რომ მდგარიყო,
ისიც დათმობდა გულს მოწყალებით...

ვინ იცის, იქნებ, ის ერთი წუთი,
სხეულებისთვის ათი წელია
და განშორება დაბრუნებისთვის,
აგვისტოს ვარსკვლავს დაუწერია.

მოვიდა მერე ზღაპრული დალი,
ცაზე ცხოველი მოინადირა,
და თვალნაცემი ოცნება მთვრალი,
დასვა ქოხში და მწარედ ატირა.

ცრემლები თოვლის ფიფქებად იქცა,
გაიწელება ზამთრის საღამო,
გული კვლავ ფეთქავს – მოგონებების
თავშესაფარი – ჭრელი სალარო.

ზოგჯერ მართლდება უკუღმა თქმული –
სხეული სულის თავშესაფარი.
პირველად ვამბობ, რომ სიყვარული
ცხოვრებაა და არა ზღაპარი.

ეს ოქროს თევზი ვერ დავიჭირე;
გაშლილი ბადე სადღაც დავტოვე,
ცხოვრებავ, საქმე ნუ გამიჭირე,
ზოგჯერ მწყინდება ეს სიმარტოვე...

მიდის ღრუბელი, ნელა მიცურავს,
რად მინდა ვერცხლით სავსე ხურჯინი,
ისევ ღრუბელზე შემომაჯინეთ
და სიზმრებიდან მეწვიოს ჯინი...

თუ მომწყინდება, გადმოვეშვები,
ერთხელ მოვადენ ზღართანს ზევიდან,
ტყევ! წყაროს წყალი დამალევინე,
თუნდაც პეშვიდან, შენს ლაღ მზევინარს.

გამთენიისას იმ ერთმა სხივმა
ღამეს თვალები უცებ დასთხარა
და შემოჭრილმა ნიავმა ცივმა,
იჟონგლიორა, როგორც მასხარამ.

***

ნუ გეშინია, არა ხარ ქმარი,
არც საყვარელი და არც ვიღაცა,
მიძინებული გრძნობა უეცრად
შენსკენ ფიქრებმა გამოიტაცა.
ბჟღვრიალებს ზეცა უფლის ცრემლებით,
ულოცავს მიწას ცისკრის გაჩენას,
ხორცი რად მინდა, იაფად ფასობს,
განელებული ვნების ნარჩენად.
არც სული მინდა, როდის ვითხოვე?! -
დაანაწილე, რაც გაბადია,
ოღონდ გახსოვდეს – მეც ვიცი ფრენა,
სულაც არა ვარ ვინმეს გადია.
როგორ მოჰკვეთეს დიდოსტატს მკლავი,
მაინცდამაინც თანაც – მარჯვენა,
ეს იმას ნიშნავს, რომ ძნელი არის,
სამყაროს ცენტრის გულზე დაბჯენა.
ბჟღვრიალებს ზეცა უფლის ცრემლებით,
ულოცავს მიწას სულის გაჩენას,
ხორცი რად მინდა, იაფად ფასობს,
განელებული ვნების ნარჩენად.

საუბარი გუსთან

როგორ არ მეტყვი, რომ მზე გაწვალებს
და დაღამებას ნამდვილად ელი,
შენც ხომ გაქვს ქვეყნად იმის უფლება,
რომ იყო ერთი ღამისმთეველი.

მოიწყინო და იფიქრო, გული
ენდობა ვინმეს ისევ თუ არა,
უვარსკვლავებო ღამეა გარეთ,
სტკივა შენი და ჩემი იარა.

ცხრა აპრილი

ნეტარ იქმნებით სასუფეველში,
მიწამ დაკარგა თქვენი სინაზე,
შეაფრინდება აპრილში ვარდის
ფოთოლი ყველა სარკმელს მინაზე.

მშვიდობით, ვიცი მშვიდობა სუფევს
იქ, სადაც თქვენი სული ნეტარებს,
ილოცეთ, ისევ აჟღარუნებენ,
ტყვიად ჩამოსხმულ უხეშ მეტალებს.

ილოცეთ, ისევ ზანზარებს მიწა,
ქართული მიწა – ჩვენი ღირსება,
ჯვარს ისევ მარტო დევნილი იცავს
და გული ჯერაც ბოღმით ივსება.

ნეტარ იქმნებით სასუფეველში,
მიწამ დაკარგა თქვენი სინაზე,
შეაფრინდება აპრილში ვარდის
ფოთოლი ყველა სარკმელს მინაზე.

***

როგორ ადვილად იძარცვებიან
თანდათან ჩვენი სავსე გულები,
თუ დაუკვირდი, ალბათ, მიხვდები,
ყველაფერი რომ იყო ულევი –
ცრემლი, ღიმილი, ალერსი, ფიცი,
თოვლზე სიცოცხლის ნაფეხურები,
რაღაცა დამრჩა უთქმელი, ვიცი
და თქვენთან ყოფნას დავეშურები...
გახშირებულა თითქოს ავდარი,
ფოთოლცვენაა მთელი ცხოვრება,
ის რამდენიმე წუთისთვის ღირდა,
სიკვდილის წინ რომ გვემახსოვრება.

***

ეჰა! ავარდა უშგულის თავზე
მზე, როგორც ცეცხლი ძველი ბუხრიდან.
თუ გინდა, შავზე შევჯდები ცხენზე,
ტოპაზისფერზე შეჯექ, თუ გინდა!
გავინავარდოთ აღმართებისკენ,
ვერ დავაოკე სურვილი გიჟი,
დღეს მე ვიქნები შენი პირიმზე,
შენ კი – ოცნებით ნანატრი ბიჭი.
გულმა პასუხი გასცა გაზაფხულს,
შემორღვევია მაისს საკინძე,
ცხენდაცხენ მომყევ, ის ყვავილები,
მე რომ მოგაყრი, სწრაფად აკინძე.

***

ბუმერანგივით არ ბრუნდება უკან სიკეთე,
მაგრამ ხანდახან სიავისგან უთუოდ გიხსნის,
ხომ არ გაშინებს უგუნებო მთების ნიშანი,
ხომ არ გაშინებს ეს ბურუსი, ქარი და ნისლი?!

გამოიდარებს და ბალახი აბიბინდება,
ძირს გაბნეულა ქრიზოლითი, მწვანე აქატი,
ბუმერანგივით არ ბრუნდება უკან სიკეთე,
ნუ დაღონდები, არ იცოდი ნუთუ აქამდი?!

მოგვშორდი, მტერო!

მთაშიც ბინდია, როგორც ჩემს გულში,
მივდივარ მარტო, მოსულა დელგმა,
ახლა ჩემსავით გადარეულმა, აზვირთებულმა,
რა გითხრა თერგმა?!
რა გითხრა დეკამ, წყლის მათრახები,
მდინარის ნაპირს როცა ლეწავდა,
სუსხის შურდულებს მეც ვამარცხებდი,
უიარაღო ბრძოლა მეწადა.
მოდი, დავდგები კოდორის ხიდთან,
ნაცარქექიას ერთი მემკვიდრე,
აქ წყალწაღებულ ხავსიან ნაფოტს,
მიწის სურნელი ასდის ჯერ კიდევ.
ჯერ კიდევ უძლებს ჩაწიხლვას გული
და საკრალური ხდება დაისი,
ყოჩივარდების სურნელი მყოფნის,
ძირს! ციმბირული ედელვაისი.

სტუმრად

შრიალებს მუხა,
სისინებს სიო,
აივნის ჩრდილში მაღალი სახლის.
პირდაპირ მოჩანს,
ალაზნის ველი
და გარცხვენს ყალბი ღიმილით დაღლილს.
კვნესის აკიდო, ამ წითელ ცრემლებს
ქარვისფერი მზე დასჩერებია,
ცისკენ აწვდილი მზესუმზირები,
ჩემი ოცნების ნარჩენებია.

ქსოვდა დეიდა

ვუძღვნი თათიკოს

ვარდისფერ ძაფში გახლართულ თითებს
მშვიდი მუსიკა თითქოს აცეკვებს,
ფანჯრის რაფაზე კენკავს ბელურა
მისთვის გაბნეულ პურის ნამცეცებს.

დღეს ასფურცელას ბილიკს მივყვები,
ნანატრი გზები ცისკენ მიქრიან,
ფეხებმოკეცილ წეროებს, ნახე,
ჩემსავით, ლურჯი მთების ფიქრი აქვთ...

***

მიყვარს ივლისში ტყე საბადურის,
გახშირდა სოკო ჩალისფერთავა,
წელში გამწყდარა ეს ნაკადული,
ღიმილიანი ქვევით ვერ ჩავა...

ცაო, დაუშვი წვიმა ზევიდან,
ღრუბელს უთხარი, მიწას უშველოს,
გადმოაშუქე, ერთი, მთებიდან,
დღესასწაული არ ღირს უშენოდ.

კოცნა, რომელიც არ ჰგავს მოგონილს

დაწურულია ბოლომდე გული,
ცრემლები სულში – თეთრი მძივები,
გადავირევი ერთხელაც კიდევ,
და შენს სურვილში ჩავიძირები.
თავიდან უნდა შევუდგე მაშინ,
აღმართს, ვიხილო თოვლში პეპელა,
მე ისე უნდა ვიცხოვრო ცაში,
შენ რომ არ იცი, და რომ გეძნელა.
ყინვაში მინდა მე რომ მცხელოდეს,
ქარბუქში მინდა არ ვიგრძნო ქარი,
ის კაცი მინდა სადმე მელოდეს,
სიყვარულით რომ იქნება მთვრალი.
ცეცხლს გაატანე სახლი, თუ გინდა,
გზები რად მინდა სხვისი გაჭრილი,
ის ქოხი მინდა, შენ რომ ააგებ,
მდინარის წყალზეც – ბადე გაშლილი.
მე ის ხე მინდა, შენ რომ დამირგავ,
საყურედ მინდა იმ ხის ფოთოლი,
გაღვიძებული ყლორტი ფიციდან –
კოცნა, რომელიც არ ჰგავს მოგონილს.
დაწურულია ბოლომდე გული,
ცრემლები სულში – თეთრი მძივები,
გადავირევი, ერთხელ, იცოდე!
და სხვის სურვილში ჩავიძირები.

***

თოვს, ახლა გეტყვი ყველაზე მთავარს,
როცა მცივა და ასე ვკანკალებ,
ყველა ნაკვალევს შენსკენ მოვყავარ,
შენსკენ მოვყავარ ყველა ნაკვალევს.

მისმინე, ვფიქრობ, ჩვენი ბრალია,
ანდა, არც არის არავის ბრალი,
როცა ჩიტისთვის მიაქვთ გალია,
როცა კაცისთვის არ მიაქვთ ვალი...

იქნება არ ვარ?

სიზმარში ვარ თუ, ცხადში ვარ ნეტა?
საერთოდ თუ ვარ, ისიც არ ვიცი,
იქნებ უბრალოდ ჩრდილი ვარ ხეთა,
იქნებ ყვავილთა დობილ-ნაფიცი?

ბრუნავს ეს მიწა და მიწის ირგვლივ,
ტრიალებს ბურთი – მთვარე ამხელა,
არეული და დამფრთხალი ივლი,
თუ გაგიჭირდა ფიქრის გამხელა.

სიზმარში ვარ თუ... არა ვარ გონზე,
მზე მაინც ვიცი, როდის ანათებს,
თუკი ლანდიც ვარ, მე მაინც მოგწერთ,
ამ სამყაროზე მომცრო ბარათებს.

სარჩევი

***(მოდის ყვირილა) 5
აგარაკზე 6
მიმინოს. 7
ქარიშხლის ტაში 8
ალალი იყოს, თუ შევიშლეგი 9
ქეთევან დედოფალს 10
ცრემლი. 11
ნადირობის ქალღმერთი დალი 12
ცეცხლის ენები. 13
მთები 14
წმინდა აბოს ფერფლის ბრწყინვალება 15
საჩრდილოგელი 16
* * * (ოპიზარის მოჭედილი) 17
ეს ნაკადული... 18
ფრთეგი დავკარგე 19
* * * (იქნეგ დამტოვოთ) 20
* * * (არასდროს არ გთხოვ არაფერს რადგან) 21
ღვინოგისთვე 22
* * * (მთელი ცხოვრეგა მოლოდინია) 23
* * * (მე ვიცი რასაც მოყვეგი ახლა) 24
* * * (ცრის, ნელ–ნელა ცრის, წყნარად და ჩუმად) 25
* * * (სიმშვიდე ისე მოგვიხდეგოდა) 26
გაზაფხული თგილისში 27
ვერსალი 28
მაისი ვენეციაში 29
„სანტა კროჩეს“ ტაძარში 30
ბარსელონაში 31
შვილს 32
ელვა. 34
ქართლის ცხოვრება 35
გაგიჟდა ქარი 36
* * * (ხეც წამოიღო, ზუთხიც და მურწაც) 38
ტელეფონი 39
კვიპაროსებთან 40
* * * (დაღამეგულა და ქარი გღავის) 41
ფლორენციაში 42
სიზმარი ქართლში 43
გარინდული ხარ 44
არ დავიღლეგი 45
ძღვენი. 46
თამარ მეფეს 47
ლოგეგზე 48
წახვესეგა. 50
სოფლის გილიკი. 51
ასე მგონია 52
კახეთში 53
მადლობა ფერეგის დღესასწაულისთვის 54
* * * (ქარი დაქროდა, იყო ღრუგელიც) 55
ნაწვიმარი ტყე 56
მძივი 57

კიევში თბილისის მონატრება 58
იოანე შავთელი 59
* * * (ო, რა ლალად, რა მოლხენით) 60
პურის სურნელი 61
ხარკი 62
* * * (რა ვუყო ფიქრებს – მოწყენილ გვრიტებს) 63
ალგათ, მიყვარდი 64
* * * (ჩარჩენილია ჭიქაში ყავა) 65
ათონის კრებული 66
ნატვრა XVIII საუკუნეში 67
* * * (უფლის ნებით და სამყაროს ნებით)... 68
* * * (ნაფიქრია ყველაფერი) 69
სიყვარული 70
ხელთათმანი დულელისთვის 71
* * * (ფერჩენილ საქანელა ხეზე) 72
სამაჩაგლო 73
შენ მოკვდი მზეჭაბუკივით 74
მზე 75
დამწიფდა უნაბი 76
წითელი ყვავილი 77
ყოველთვის მოდის გამოცდის ჟამი! 78
მარაო 80
გულწითელები 81
ო, ბედისწერავ!. 82
* * * (ჩამავალი მზე მსტუმრობს იმედეზჯერ) 83
მამას 84
ცვალებადია ამინდი 85
უხერხულია 86
სარფთან 87
* * * (ფარავნის ტბასთან, ფოკაში) 88
* * * (ვერც შენ გაიგე, რაც მე გითხარი) 89
წერილი ძმას 90
* * * (რა ამინდია?!) 91
დელფინარიუმთან 92
* * * (აუხირდება ამინდი ქუჩებს) 93
* * * (სალაგო მჭვიდოგისა) 94
დრომ ჩაიძნია ხელი არაგვთან 96
***(იქნებ იმიტომ ვიტირე) 97
* * * (მოგონება) 98
***(ნუ ბეშენია არა ხარ ქმარი) 100
* * * (საუბარი გუსთან) 101
ცხრა აპრილი 102
* * * (როგორ აღვილად იძარცვებიან) 103
* * * (ეჰა! ავარდა უშგულის თავზე) 104
* * * (გუმერანგივით არ გრუნდება უკან სიკეთე,) 105
მოგვშორდი, მტერო! 106
სტუმრად 107
ქსოვდა დეიდა 108
* * * (მიყვარს ივლისში ტყე საგაღურის,) 109
კოცნა, რომელიც არ ჰგავს მოგონილს 110
* * * (თოვს, ახლა ბეტყვი ყველაზე მთავარს) 111
იქნება არ ვარ? 112



დაბადება ქ. თბილისში, ქიმიკოსების ოჯახში. დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. დოქტორანტურა ლიტერატურის ისტორიაში. დაამთავრა კინოდრამატურგიის და წერის ფაკულტეტებიც. არის რამდენიმე საშნურო გაკვეთილების წიგნის ავტორი, ბიბლიოლოგია, ბიბლიოსტატი და კომპლექტატორი საერთაშორისო საზოგადოების წევრი. მისი ლექსები, ესეები, მოთხრობები, თარგმანები, ლიტერატურული წერილები სისტემატიურად იბეჭდება. მისი ლექსები შეტანილია სხვადასხვა ტომის ანთოლოგიაში მათ შორის წელს საფრანგეთში ფრანგულ ენაზე გამოცემულ ტრადიციული მწერლობის მეორე ანთოლოგიაში. ათამდე პერსონალური საღამოს ავტორი. მისი შემოქმედება თარგმნილია რამდენიმე ენაზე. მუშაობდა სხვადასხვა ადგილას: იღია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში, ტელევიზიაში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და იქვე ხელმძღვანელობდა „ლიტერატურულ სახელოსნის". არის ასევე ლიტერატურული საღამოს ორგანიზატორი. ამჟამად მუშაობს 68. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში და ხელმძღვანელობს „ლიტერატურულ-შემეცნებით სახელოსნის". მუშაობს აგრეთვე მოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტში. მიუძღვნა ინტერნეტტელევიზიაში ერთნლიანი საავტორო გადაცემა „საუბრები ხელოვნთა შესახებ"; მიუძღვნა ორნლიანი საავტორო რადიორუბრიკა „მშვენიერების საფეხურები". ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი. ჰობი: ფერწერა, არქიტექტურა, ცხენოსნობა.

მეოთხეული პოეტის შემოქმედებას იცნობს შემდეგი ლირიკული და ლიტერატურულ-ესეისტური კრებულებით: „თოვლიანი თეთრი მნეხარება" 1997; „აკაციის ხეივანი" 2002; „ქართველ მწერალთა მიმართებები ეკატერინეფაზელასთან" 2003; „მზისფერი ქუდი" 2003; „ცვენილი და მდინარე" 2009; „მზე და ღრუბელი" 2009.

ISBN 978-9941-0238-3-2

ᲔᲓᲘᲢᲝᲠᲘ